

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ,
სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის სხდომის

ოქმი N 6

ქ.ვანი, თავისუფლების ქ. N65

15 თებერვალი 2018 წელი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: გელა ჩიკვაძე, გიორგი ივანიაძე, კობა ტოხვაძე,
თამარ შენგელია, რამაზ არველაძე, გელა ვარდოსანიძე.

სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრთა ხელმოწერების სია თან ერთვის.

დანართი N1

საკატიომიზებით სხდომას არ ესწრებოდა: შალვა ლორთქიფანიძე, ოლეგი მიქელთაძე და ვარლამ გიორგაძე.

მოწვეული პირები:

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის იურიდიული განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - ნარგიზა ალფაიძე.

კომისიის სხდომის თავმჯდომარე - გელა ჩიკვაძე. (კომისიის თავმჯდომარე)

კომისიის სხდომის მდივანი - საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების მთავარი სპეციალისტი საოქმო წარმოების საკითხებში - ლუბა კიკაბიძე

დღის წესრიგი

1.ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 10 იანვრის N48 დადგენილებით დამტკიცებულ „ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტში“ ცვლილებების შეტანის თაობაზე;

მომხსენებელი: გიორგი ივანიაძე

2.ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 20 იანვრის N48 დადგენილებით დამტკიცებულ „ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულებაში“ ცვლილებების შეტანის თაობაზე;

მომხსენებელი: გიორგი ივანიაძე

3. „ვანის მუნიციპალიტეტის დასახლების საერთო კრების ტიპური დებულების დამტკიცების შესახებ“ იმ დასახლებისათვის, რომელშიც რეგისტრირებულ ამომრჩეველთა რაოდენობა 2000-ს არ აღემატება ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 20 იანვრის N3 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხსენებელი: გელა ჩიკვაძე

4. ვანის მუნიციპალიტეტის ორგანოების, დაწესებულებების და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სახსრებიდან დაფინანსებული კერძო სამართლის იურიდიული პირ(ებ)ის მიერ საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად და ბეჭდური ფორმით გამოქვეყნების წესის, პროაქტიულად და ბეჭდური ფორმით გამოსაქვეყნებელი საჯარო ინფორმაციის ნუსხისა და საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტის დამტკიცების შესახებ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 4 თებერვლის N5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხსენებელი: გელა ჩიკვაძე

5. ვანის მუნიციპალიტეტის მერისა და ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების მიერ მუნიციპალიტეტის ამომრჩევლებთან საჯარო შეხვედრების მოწყობისა და გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის წარდგენის წესისა და ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის ფორმის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 1 ოქტომბრის N41 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხსენებელი: გელა ჩიკვაძე

6. „ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მერიის მიერ გაცემული საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 1 ოქტომბრის N43 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხსენებელი: გელა ჩიკვაძე

7. ვანის მუნიციპალიტეტის ოფიციალური ვებგვერდის დებულების დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 1 ოქტომბრის N 44 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: გელა ჩიკვაძე

8. ვანის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სარაგბო კლუბ „აიეტი“-ს“ (ს/კ 429651469) წესდების დამტკიცების შესახებ“ მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების პროექტზე თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხს: ნარგიზა ალფაიძე

9.ვანის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „საბავშვო ბაღების გაერთიანება“ -ს (ს/კ/229658572) წესდების დამტკიცების შესახებ“ მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების პროექტზე თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხს: ნარგიზა ალფაიძე

გადაწყვეტის: დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს:

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გიორგი ივანიაძემ კომისიის წევრებს წარმოუდგინა ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 10 იანვრის N48 დადგენილებით დამტკიცებულ „ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტში“ ცვლილებების შეტანის თაობაზე და განმარტა, რომ რეგლამენტში მერის ნაცვლად მითითებულია „გამგეობა“, რაც უნდა შეიცვალოს და ჩაიწეროს სიტყვა „გამგეობი“ს ნაცვლად სიტყვა „მერია“. ასევე ჩვენ საკრებულოს დამტკიცებული გვაქვს დადგენილებით გენდერული თანასწორობის საბჭოს დებულება და რეგლამენტს უნდა დაემატოს გენდერული საკითხებიც ანუ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული გენდერული თანასწორობის საბჭოს დებულების მუხლები უნდა იქნას შეტანილი რეგლამენტში. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სულ ეს ორი ცვლილება შედის რეგლამენტში.

გადაწყვეტის:

დამტკიცდეს და შეტანილ იქნას ცვლილება ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 10 იანვრის N48 დადგენილებით დამტკიცებულ „ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტში“.

დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხი მზად არის საკრებულოს სხდომაზე გასატანად

/დანართი N2/

მომხრე - 6

წინააღმდეგი - არცერთი

მოისმინეს:

დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გიორგი ივანიაძემ წარმოადგინა ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 20 იანვრის N48 დადგენილებით დამტკიცებულ „ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულებაში“ ცვლილებების შეტანის თაობაზე და განმარტა, რომ

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულებას დაემატა შემდეგი შინაარსის ცვლილებები:

საჯარო მოხელეები შეიცვალა პროფესიულ საჯარო მოხელეებად, ასევე საკრებულოს აპარატი არის პირველადი სტრუქტურული ერთეული, რომელიც იქმნება საკრებულოს საქმიანობის ორგანიზაციულ უზრუნველყოფის მიზნით.

აპარატის სტრუქტურული ეთეულებია:

ა) იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილება

ბ) ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების განყოფილება.

აგრეთვე აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეების შეფასება ხორციელდება „პროფესიული საჯარო მოხელეების შეფასების წესისა და პირობების დამატკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილების საფუძველზე მიღებული შეფასების სისტემით, რომელსაც ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების განყოფილების უფროსის წარდგინებით ამტკიცებს საკრებულოს თავმჯდომარე.

გადაწყვიტეს:

დამტკიცდეს და შეტანილ იქნას ცვლილება ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამატკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 20 იანვრის N48 დადგენილებით დამტკიცებულ „ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულებაში“ ცვლილებების შეტანის თაობაზე.

დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხი მზად არის საკრებულოს სხდომაზე გასატანად

/ დანართი N3/

მომხრე - 6

წინააღმდეგი - არცერთი

მოისმინეს:

დღის წესრიგის მესამე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ გელა ჩიკვაიძემ წარმოადგინა „ვანის მუნიციპალიტეტის დასახლების საერთო კრების ტიპური დებულების დამატკიცების შესახებ“ იმ დასახლებისათვის, რომელშიც რეგისტრირებულ ამომრჩეველთა რაოდენობა 2000-ს არ აღემატება და ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 20 იანვრის N3 დადგენილებაში შეტანილ იქნას ცვლილება.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილ საკითხში ცვლილებები ძირითადად ეხება ტერმინებს, სიტყვა „გამგეობა“ შეიცვალა „მერიით“.

გადაწყვიტეს:

დამტკიცდეს და შეტანილ იქნას ცვლილება „ვანის მუნიციპალიტეტის დასახლების საერთო კრების ტიპური დებულების დამტკიცების შესახებ“ იმ დასახლებისათვის, რომელშიც რეგისტრირებულ ამომრჩეველთა რაოდენობა 2000-ს არ აღემატება ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 20 იანვრის N3 დადგენილებაში შეტანილ იქნას ცვლილება.

დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხი მზად არის საკრებულოს სხდომაზე გასატანად.

/დანართი N 4/

მომხრე - 6

წინააღმდეგი - არცერთი

მოისმინეს:

დღის წესრიგის მეოთხე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს წარმოუდგინა ვანის მუნიციპალიტეტის ორგანოების, დაწესებულებების და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სახსრებიდან დაფინანსებული კერძო სამართლის იურიდიული პირ(ებ)ის მიერ საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად და ბეჭდური ფორმით გამოქვეყნების წესის, პროაქტიულად და ბეჭდური ფორმით გამოსაქვეყნებელი საჯარო ინფორმაციის ნუსხისა და საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტის დამტკიცების შესახებ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 4 თებერვლის N5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ და განმარტა, რომ დადგენილებაში ცვლილება ეხება ტერმინებს, სიტყვა „გამგობა“ შეიცვალა „მერიით“.

გადაწყვიტეს:

დამტკიცდეს და შეტანილ იქნას ცვლილება ვანის მუნიციპალიტეტის ორგანოების, დაწესებულებების და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სახსრებიდან დაფინანსებული კერძო სამართლის იურიდიული პირ(ებ)ის მიერ საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად და ბეჭდური ფორმით გამოქვეყნების წესის, პროაქტიულად და ბეჭდური ფორმით გამოსაქვეყნებელი საჯარო ინფორმაციის ნუსხისა და საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტის დამტკიცების შესახებ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 4 თებერვლის N5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხი მზად არის საკრებულოს სხდომაზე გასატანად

/დანართი N 5/

მომხრე - 6

წინააღმდეგი - არცერთი

მოისმინეს:

დღის წესრიგის მეხუთე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა სხდომის თავმჯდომარემ გელა ჩიკვაძემ კომისიის წევრებს წარმოუდგინა ვანის მუნიციპალიტეტის მერისა და ვანის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების მიერ მუნიციპალიტეტის ამომრჩევლებთან საჯარო შეხვედრების მოწყობისა და გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის წარდგენის წესისა და ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის ფორმის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 1 ოქტომბრის N41 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ და განმარტა, რომ აღნიშნულ დადგენილებაში ცვლილება ეხება ტერმინებს, სიტყვა „გამგეობა“ შეიცვალა „მერიით“.

გადაწყვეტის:

დამტკიცდეს და შეტანილ იქნას ცვლილება ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების მიერ მუნიციპალიტეტის ამომრჩევლებთან საჯარო შეხვედრების მოწყობისა და გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის წარდგენის წესისა და ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის ფორმის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 1 ოქტომბრის N41 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხი მზად არის საკრებულოს სხდომაზე გასატანად
/დანართი N 6/

მომხრე - 6
წინააღმდეგი - არცერთი

მოისმინეს:

დღის წესრიგის მეექვსე საკითხთან დაკავშირებით სხდომის თავმდომარემ კომისიის წევრებს წარმოუდგინა „ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მერიის მიერ გაცემული საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 1 ოქტომბრის N43 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ და განმარტა, როგორც ზემოთ აღნიშნულ დადგენილებებში სიტყვა „გამგეობა“ შეიცვალა „მერიით“, სხვა ცვლილება არ დაფიქსირებულა.

გადაწყვეტის:

დამტკიცდეს და შეტანილ იქნას ცვლილება „ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მერიის მიერ გაცემული საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 1 ოქტომბრის N43 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ .

დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხი მზად არის საკრებულოს სხდომაზე გასატანად
/დანართი N 7/

მომხრე - 6
წინააღმდეგი - არცერთი

მოისმინეს:

დღის წესრიგის მეშვიდე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა სხდომის თავმჯდომარემ გელა ჩიკვაიძემ წარმოადგინა ვანის მუნიციპალიტეტის ოფიციალური ვებგვერდის დებულების დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 1 ოქტომბრის N 44 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დაგანმარტა, რომ აქაც ცვლილება ეხება ტერმინებს.

წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრი გიორგი ივანიაძე შემოვიდა წინადადებით, რომ წარმოდგენილ საკითხში გარდა ტერმინებისა კიდევ არის ხარვეზები, ჩემი საზრით აღნიშნული საკითხი გადავდოთ მომდევნო კომისიის სხდომისთვის.

კომისიის თავმჯდომარემ გელა ჩიკვაიძემ აღნიშნა, რომ მეც ვეთანხმები აღნიშნულ წინადადებას რადგან წარმოდგენილი საკითხი სათანადოდ არ არის მომზადებული და კიდევ საჭიროებს დამუშავებას.

გადაწყვიტეს

კომისიის თავმჯდომარემ და წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება წარმოდგენილი მეშვიდე საკითხი გადაიდოს მომდევნო კომისიის სხდომისთვის.

/დანართი N 8/

მომხრე - 6

წინააღმდეგი - არცერთი

მოისმინეს:

დღის წესრიგის მერვე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ვანის მუნიციპალიტეტის მერიის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის იურიდიული განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსმა სპეციალისტმა ნარგიზა ალფაიძემ, კომისიის წევრებს წარმოუდგინა ვანის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სარაგბო კლუბ „აიეტი“-ს“ (ს/კ 429651469) წესდების დამტკიცების შესახებ“ მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების პროექტზე თანხმობის მიცემის თაობაზე, მომხსენებელმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილ საკითხში ფუნქციონალური ცვლილებები არ განხორციელებულა, სიტყვა „გამგეობა“ შეიცვალა „მერიით“.

გადაწყვიტეს

დამტკიცდეს და შეტანილ იქნას ცვლილება ვანის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სარაგბო კლუბ „აიეტი“-ს“ (ს/კ 429651469) წესდების დამტკიცების შესახებ“ მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების პროექტზე თანხმობის მიცემის თაობაზე.

დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხი მზად არის საკრებულოს სხდომაზე გასატანად.

/დანართი N 9/

მომხრე - 6
წინააღმდეგი - არცერთი

მოისმინეს

დღის წესრიგის მეცხრე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ვანის მუნიციპალიტეტის მერიის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის იურიდიული განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსმა სპეციალისტმა ნარგიზა ალფაიძემ კომისიის წევრებს წარმოუდგინა ვანის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „საბავშვო ბაღების გაერთიანება“ -ს (ს/კ 229658572) წესდების დამტკიცების შესახებ“ მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების პროექტზე თანხმობის მიცემის თაობაზე და განმარტა, რომ ცვლილება ითვალისწინებს ტერმინებს, სიტყვას „გამგეობა“ შეიცვალა „მერიით“.

გადაწყვიტეს:

დამტკიცდეს და შეტანილ იქნას ცვლილება ვანის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „საბავშვო ბაღების გაერთიანება“ -ს (ს/კ 229658572) წესდების დამტკიცების შესახებ“ მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების პროექტზე თანხმობის მიცემის თაობაზე.

დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხი მზად არის საკრებულოს სხდომაზე გასატანად
/დანართი N 10/

მომხრე - 6
წინააღმდეგი - არცერთი

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

გელა ჩიკვაძე

საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო,
საპროცედურო საკითხთა და ეთიკის
კომისიის თავმჯდომარე